“STEM ინოვატორთა ასოციაცია“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი აცხადებს

საგანმანათლებლო STEM პროექტების კონკურსი

მიზანი:

- STEM სწავლების პოპულარიზაცია სკოლებში, როგორც STEM მიმართულების საგნის მასწავლებლებში, ასევე მოსწავლეებში.
- ინოვაციური სამეცნიერო კვლევების ხარისხის და მნიშვნელობის უზრუნველყოფით ქვეყანაში მოსწავლეთა ახალი თაობების მომზადება. უნივერსიტეტისა და სკოლის თანამშრომლობის გაღრმავება

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეებში:

- STEM საგნების სწავლისადმი ინტერესის გაღვივება;
- მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართ;
- ელექტრონულ კომპონენტებთან მუშაობის და პროგრამირების საბაზო უნარების განვითარება;
- შემოქმედებითი, ლოგიკური აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება;
- მეცნიერებისა და ტექნოლოგიების როლის გააზრება/გამოყენება სასკოლო სივრცეში;
- თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გადატანა და პრაქტიკული გამოცდილებიდან თეორიული ცოდნის მიღება.

მასწავლებლებში:

STEM საგნებს შორის ინტეგრირების ხელშეწყობა;

კვლევაზე და პრობლემაზე დაფუძნებული პროექტების დაგეგმვა - განხორციელება:

კვლევითი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის შესაბამისი უნარების განვითარება;

სასწავლო პროცესის წახალისება-სრულყოფა;

- **კონკურსის სამიზნე ჯგუფი:** კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც არის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო და კერძო სკოლების) VII–XII კლასის მოსწავლე.

კონკურსში განაცხადის წარდგენა შეუძლია გუნდს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობას:
გუნდი უნდა შედგებოდეს ერთი სკოლის, ერთიდაიმავე ან სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისაგან;
გუნდი უნდა შედგებოდეს მაქსიმუმ 4 მოსწავლისაგან;
გუნდის მენტორი/ ინსტრუქტორი შესაძლებელია/სასურველია იყოს STEM საგნების ერთი ან ორი მასწავლებელი;

კონკურსზე პროექტის დარეგისტრირების შემდეგ გუნდის წევრთა ცვლილება დაუშვებელია.

გამარჯვებული გუნდ(ებ)ის შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

- რამდენად დგას საგანმანათლებლო სფეროში ის პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ემსახურება წარმოდგენილი პროექტი;
- არის თუ არა პროექტი რეალურად განხორციელებადი;
- არის თუ არა მოცემული პროექტი მოქმედი კონსტრუქცია;
- რამდენად არის გამოყენებული მოცემულ პროექტში STEM სწავლების კომპონენტები:

✔ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**
✔ **მათემატიკა**
✔ **ტექნოლოგია (პროგრამირება)**
✔ **ინჟინერია**

კონკურსი შედგება 3 ეტაპისაგან

პირველი ეტაპი: განაცხადის წარდგენა, სადაც პრეზენტაციის სახით წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ა) პროექტის(მოქმედი მოწყობილობის) აღწერილობა

ბ) რომელი საგნებია ინტეგრირებული მოცემულ პროექტში

გ) რომელი საკითხების შესწავლას უწყობს ხელს მოცემული პროექტი

დ) რა როლი ითამაშებს აღნიშნული პროექტი ჩამოთვლი საკითხების შესწავლაში.

მეორე ეტაპი: ნახევარფინალი პროექტის შესახებ 3–5 წუთიანი ვიდეო, სადაც წარმოდგენილი იქნება

- პროექტზე მუშაობის პროცესი,
- პროექტის მოქმედი მოდელი

ნახევარფინალურ ტურზე შეირჩევა 12 გუნდი.

მესამე ეტაპი – ფინალი: ფინალში გადასული 12 გუნდიდან შეირჩევა სამი საუკეთესო გუნდი 1–ელ მე–2 და მე–3 საპრიზო ადგილებისთვის;

ფინალურ ეტაპზე დასწრება და გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნახევარფინალში მონაწილე გუნდებს

დაჯილდოვდებიან როგორც გუნდის წევრები, ასევე გუნდის მენტორები!

პირველ ადგილზე გასული გუნდის მენტორ/ მენტორებს მიენიჭებათ სტატუსი:

„ 2024 წლის საუკეთესო STEM ინოვატორი“.